

**მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**  
**ქონების მართვის, აგრარულ და ბუნებრივი რესურსების**  
**საკითხების კომისიის 2017 წლის 27 თბერვალი სხდომის**  
**ოქმი №04**

ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7

12.30 სთ.

სხდომის თავმჯდომარე – თამაზ მოძღვრიშვილი - კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის წევრები - დავით ვალიშვილი, თემირ ლელუაშვილი, დავით

პაპიაშვილი, გოჩა ლაბაური, დავით ჯალაბაძე.

**დღის წესრიგი:**

**საკითხი 1** - „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის N49 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.

**მოისმინეს საკითხი 1:** „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის N49 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.

**მომხ. თ. მოძღვრიშვილი.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოსულია N07/2/2996 27.02.2016წ. წერილი, რომლითაც ითხოვენ, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის N49 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება, კერძოდ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის N49 განკარგულებაში, კერძოდ, განკარგულების პირველ პუნქტს დაემატოს:

1.1. მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წეროვანში მდებარე 166 მ2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 72.08.27.533“;

1.2. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბორბლიანი ესკავატორი „CATERPILLAR 432D“ სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრით AB 214 B გამოშვების წელი - 2002, ფერი - ყვითელი.

**კომისიამ გადაწყვიტა:** საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის I პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის N49 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე საკითხი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.


დღის წესრიგი ამოიწურა.

თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.


სხდომის თავმჯდომარე


 თ. მოძვრიშვილი

კომისიის წევრები

 დ. ვალიშვილი

 დ. პაპიაშვილი

 გ. ლაბაური

 თ. ლელუაშვილი

 დ. ჯალაბაძე